საწარმოს დაბალანსებული ზრდის პრიორიტეტები თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში

ნატო გეგენავა,
სტუ-ს პროფესორი
ეკატერინე გიგოლაშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

თანამედროვე გლობალიზაციის ეტაპზე მნიშვნელოვნად მცირდება მსოფლიო ეკონომიკის ექსტენსიური ზრდის შესაძლებლობები. პრიორიტეტულ მნიშვნელობას იძენს რესურსების ეფექტიანი გამოყენება.

საწარმოს ეფექტიანობის შეფასების ადეკვატური მექანიზმის უქონლობა მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ამ სფეროში მომუშავე მეცნიერთა ნაშრომები იშვიათად ეხება შეფასებისადმი კომპლექსურ მიდგომას. უფრო ხშირად ისინი ეძღვნება საწარმოთა საქმიანობის ცალკეულ ასპეტებს. ამასთან, კვლევების უმრავლესობაში იყენებენ მსხვილი კორპორატიული სტრუქტურების გამოცდილებას, დანარჩენ საწარმოებს კი თავისი განსხვავებული პრიორიტეტები გააჩნიათ. აღნიშნულიდან გამომდინარე, უცხოური მოდელების ადაპტირება სამამულო სისტემის პრაქტიკასთან უმეტესწილად შეუძლებელი ხდება. ამ ყოველივეს დასკვნების სუბიექტურობამდე მივყავართ. საჭიროა ისინი ობიექტური გავხადოთ. მნიშვნელოვანია კომპანიების საქმიანობის ეფექტიანობის შეფასებისადმი კომპლექსური მეთოდოლოგიური მიდგომა.

დასმული პრობლემა უფრო აქტუალურია განვითარებადი ქვეყნებისთვის, რაც რამდენიმე მიზეზით აიხსნება. მთავარი ისაა, რომ ამ ქვეყნებში დაბალია გადამამუშავებელი მრეწველობის წილი. განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი მაღალია. ასევე მაღალია მომსახურების წილი.

საქართველოში საწარმოთა მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მთავარი წანამძღვარი საწარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის უზრუნველყოფაა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ფრიად აქტუალურია დაბალანსებული ზრდის მისაღწევად თანამედროვე მიდგომების ანალიზისა და განზოგადების საფუძველზე კომპანიის დაბალანსებული ზრდის მოდელების, ინსტრუმენტებისა და მექანიზმების შერჩევა.

უპირველეს ყოვლისა საჭიროა გავარკვიოთ, დაბალანსებული ზრდის როლი. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური ზრდის ყველა მოდელი ეკონომიკურ ზრდას უკავშირებს მდგრად წონასწორობას და ეკონომიკის პოტენციური შესაძლებლობების ზრდას.

საკვანძო სიტყვები: ინტენსიური ზრდა, საწარმოს ეკონომიკური ეფექტიანობა, მდგრადი ეკონომიკური ზრდა, დაბალანსებული ზრდა.

BALANCED GROWTH PRIORITIES OF ENTERPRISE UNDER MODERN GLOBALIZATION

RESUME

At the modern globalization stage, the possibility of extensive growth of the world economy is significantly reduced. Effective use of resources is achieved priority. Effective use of resources have been taken priority.

The absence of an adequate mechanism for assessing the the enterprise efficiency is a significant challenge. In this field scientists rarely refer to a complex approach to assessment in their works. Their works are mostly dedicated to the individual aspects of enterprise activities. In their Most of The researchers mostly use experiences of large corporate structures and the rest of the enterprises have their own priorities.

Based on the above mentioned information its largely impossible for foreign models to

adapt with practices of the home system. This leads to the subjectivity of conclusions. We need to make them objective.

The above mentioned problem is more urgent for developing countries and it can be explained by several reasons. The main reason is that in these countries the share of processing industry is quite low. In developed countries this indicator is high. The service share is also high.

In Georgia one of the main suppliers of sustainable economic growth of enterprises is to ensure economic efficiency of enterprises. In order to select balanced growth models, the most important is to select balanced growth models, tools and mechanisms of the company on the basis of analysis and generalization of modern approaches. First of all, we need to find out the role of balanced growth. It should be noted that all models of economic growth link economic growth to sustainable equilibrium and the growing potential of the economy.

Keywords: intensive growth, economic efficiency of enterprise, sustainable economic growth, balanced growth.

* * * *

ეკონომიკური განვითარება მოიცავს მრავალ სფეროს. მნიშვნელოვანია მომსახურეობის სექტორის, ასევე საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროს განვითარება და ყველა სახის ბაზრების ინტეგ-

რირება. სახელმწიფოს ეკონომიკაში ნაკლები ჩარევა კი ყველაფრის თავი და თავია. ამაში იგულისხმება ერთი მხრივ, სავაჭრო ბარიერების გაუქმება და საინვესტიციო ნაკადების ლიბერალიზება. მეორე მხრივ, იგულისხმება ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ადეკვატური შემცირება.

ეკონომიკის ზრდა იზომება რეალური მშპ-ს და წარმოების მოცულობის გრძელვადიანი ზრდით. ეკონომიკა შეიძლება გაიზარდოს ინტენსიური და ექსტენსიური გზებით. ეკონომიკის ექსტენსიური ზრდა ნიშნავს მის გადიდებას დამატებითი რესურსების წარმოებაში ჩართვის კვალობაზე. ეს გზა უპირატესად გამოიყენება, როდესაც რესურსები ამის შესაძლებლობას იძლევა. მაგრამ, ბევრი მნიშვნელოვანი რესურსი ამოწურვადია.

ემპირიული კვლევის შედეგად შეიძლება გამოვყოთ თანამედროვე ეკონომიკური განვითარების ორი ძირითადი მოდელი. პირველი მოდელი ინვესტიციებზე დაფუძნებულ განვითარებასა და ახალ, უფრო პროდუქტიულ რესურსებზეა მიმართული. აღნიშნულ მოდელში ძირითადი ყურადღება ეთმობა კაპიტალის დაგროვებას. აქ, მნიშვნელოვანია მანქანა-დანადგარებში და ინფრასტრუქტურაში განხორციელებული ინვესტიციები. ეკონომიკური ზრდის მეორე მოდელი დაფუძნებულია ცოდნასა და პროგრესიულ ტექნოლოგიებზე. იგი გულისხმობს არსებული რესურსების ეფექტურ გამოყენებას.

მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ცხრილი 1

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	I 18*	II 18*	III 18*
მშპ მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი	20743.4	24344.0	26167.3	26847.4	29150.5	31755.6	34028.5	37846.6	9075.6	10165.0	10586.8
მშპ მუდმივ 2010 წლის ფასებში, მლნ. ლარი	20743.4	22241.4	23653.8	24454.9	25585.6	26322.	27072.4	28380.9	6311.0	7241.4	7656.2
მშპ-ის რეალური ზრდა, პროცენტული ცვლილება	6.2	7.2	6.4	3.4	4.6	2.9	2.8	4.8	5.2	5.6	3.7
მშპ დეფლატორი, პროცენტული ცვლილება	8.6	9.5	1.0	-0.8	3.8	5.9	4.2	6.1	4.0	5.3	3.4
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), ლარი**	5478.0	480.6	7017.5	7221.6	7837.4	8524.3	9129.0	10152.0	2433.4	2725.5	2838.8
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი**	3073.0	3843.7	4249.8	4341.4	4438.3	3754.9	3857.3	4046.8	979.1	1114.3	1122.2
მშპ მიმდინარე ფასებში, მლნ. აშშ დოლარი	11636.5	14438.5	1584.8	16139.9	16507.8	13988.1	14377.9	15086.5	3651.6	4155.8	4185.3

შენიშვნა:* დაზუსტებული მონაცემები გამოქვეყნდება 2019 წლის 15 ნოემბერს.





წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური მოყვანილი მონაცემები გვიჩვენებს, რომ საქართველოში, მშპ იზრდება როგორც წლების მიხედვით, ასევე კვარტალურ ჭრილში. მაგრამ ამ მხრივ ქვეყანას აქვს გამოწვევები. მდგრადი განვითარებისთვის საჭიროა უფრო სწრაფი ზრდა.

სსფ-ს ექსპერტების მოსაზრებით, ამჟამინდელი ზრდის ტემპების პირობებში საქართველო ცენტრალური ევროპის დონეს 18 წელიწადში მიაღწევს.

ცხრილი 2

რა დრო დასჭირდებათ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს ევროპული ცხოვრების დონის მისაღწევად

ქვეყანა	მშპ ერთ სულზე 2017 წ.	საშუალო ზრდა ერთ სულზე 2020-2023	დაწინაურებისთვის საჭირო წლები
აზერბაიჯანი	4,14	2,2	45
ყაზახეთი	8,762	3,1	7
თურქმენეთი	6,643	5,0	10
უზბეკეთი	1,520	5,3	9
სომხეთი	3,857	4,7	23
საქართველო	4,086	5,8	18
ყირგიზეთი	1,208	2,9	23
ტაჯიკეთი	801	2,9	38

წყარო: IMF: "არსებული ტემპით საქართველო ცენტრალური ევროპის დონეს 18 წელიწადში მიაღწევს."

ეკონომიკური ზრდა წარმოების მოცულობის ზრდას ნიშნავს. იგი ეროვნული შიდა პროდუქტის (მშპ) და მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლების ზრდით იზომება. ეკონომიკური განვითარება კი იწვევს მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდას. აღნიშნულის მიღწევის მთავარი გზებია საწარმოო, ადამიანისეული კაპიტალის და ტექნოლოგიების გაუმჯობესება. გლობალიზაციის ტენდენციის გაძლიერების კვალობაზე ეკონომიკური ზრდის პრობლემა სულ უფრო აქტუალური ხდება. პრობლემა უფრო აქტუალურია განვითარებადი ქვეყნებისთვის. ამას აქვს რამდენიმე მიზეზი. მთავარი ისაა, რომ ამ ქვეყნებში დაბალია გადამამუშავებელი მრეწველობის წილი. განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი მაღალია. ასევე მაღალია მომსახურების წილი.

კომპანიების უმრავლესობა განვითარებად ქვეყნებში არის საბაზო განვითარების ან ადაპტირების საფეხურზე. განსხვავებით, მრეწველურად გა-

ნვითარებული ქვეყნები იმყოფებიან უფრო მაღალ, ტექნოლოგიების გაუმჯობესებისა და მონიტორინგის, ყველაზე მოწინავე ქვეყნები კი ინოვაციების საფეხურზე არიან.

დაბალანსებულ მაჩვენებელთა სისტემის ძირითადი პრინციპის მიხედვით, მართვა შესაძლებელია იმით, რაც შეიძლება გაიზომოს რაოდენობრივად და გამოიხატოს რიცხობრივად. ასეთი მაჩვენებლები ანალიზის კარგი საშუალებაა. მათზე დაყრდნობით შეიძლება სწორად, უფრო ზუსტად განვსაზღვროთ, რა უნდა ვაკეთოთ. ასევე შეიძლება განვსაჭვრიტოთ, მართებულად ახორციელებს თუ არა კომპანია დასახული მიზნებისაკენ. დაბალანსებული მაჩვენებელთა სისტემა (დმს) ყურადღებას ამახვილებს ეფექტიანობის არაფინანსურ მაჩვენებლებზე. სისტემა საშუალებას იძლევა შევაფასოთ, ერთი შეხედვით გაზომვას ძნელად დაქვემდებარებული მაჩვენებლები. მაგალითად, კლიენტების ლოიალურობის ხარისხი, ან კომპანიის ინოვაციური პოტენციალი. ასეთი მიდგომა კომპლექსურ ხასიათს ატარებს. იგი მოიცავს კავშირს მონეტარული და არამონეტარული გაზომვის სიდიდეებს შორის, ეკონომიკურ და მენეჯერულ საქმიანობას შორის, წარსულ და სამომავლო შედეგებს შორის, სტრატეგიული და ოპერატიული მართვის დონეებს შორის, აგრეთვე კომპანიის საქმიანობის შიგა და გარე ასპექტებს შორის.

ტრადიციულად, ადრე კომპანიები იკვლევდნენ და გადაწყვეტილებას იღებდნენ შემდეგი ფინანსური მაჩვენებლების საფუძვლებზე: მიმდინარე მოგება, ამონაგები ინვესტიციებიდან, განყოფილებების საქმიანობის შეფასება და კაპიტალის განაწილების ბაზის განსაზღვრა.

თანამედროვე გლობალიზაციის პროცესებმა, კომპანიები შეცვლილი რეალობის წინაშე დააყენა. პრობლემა მდგომარეობს ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების სწორი კომბინაციის პოვნაში. მარტო ფინანსური მაჩვენებლები შეიძლება ადეკვატური და საკმარისი ყოფილიყო მეოცე საუკუნის ადრეულ პერიოდში არსებული კომპანიებისთვის. კომპანიები დღესდრეობით წარმატებას აღწევენ არამატერიალური აქტივებისა და ასევე მათი ფინანსური და ფიზიკური აქტივების განსხვავებული ღირებულების შექმნის გზით. ორგანიზაციის არამატერიალური აქტივები მოიცავს: საიმედო და მომგებიან მომხმარებლებთან ურთიერთობას; მაღალი ხარისხის პროცესს; ინოვაციურ პროდუქტებსა და მომსახურებას; თანამშრომელთა გამოცდილებასა და მოტივაციას; მონაცემთა ბაზას და ინფორმაციულ სისტემებს.

ფინანსური მაჩვენებლები ვერ აფასებენ არამატერიალური აქტივების საქმიანობას. აღნიშნული მაჩვენებლები, მაგალითად, ხარჯები, შემოსავალი, მოგება, გაყიდვები, ფინანსურ შედეგებს ასახავს. მაგრამ, ეს ფინანსური შედეგები მიიღწევა სხვადასხვა საქმიანობების შედეგად. ასეთია პროდუქტის შემუშავება, შექმნა, გაყიდვა, მიწოდება. შედეგების მიღწევის თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანია მომხმარებლის მომსახურება. ფინანსური შედეგები შეიძლება გავაუმჯობესოთ ძირითადი საქმიანობების მიმართულებების შეცვლით. ამიტომაა მნიშვნელოვანი არაფინანსური მაჩვენებლების ანალიზი. ისინი შედეგების გაუმჯობესების საშუალებას ფინანსურ მაჩვენებლებთან ერთად იძლევიან.

ამ მიზნით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოდელს, რომელსაც ეწოდება დაბალანსებული მაჩვენებელთა სისტემა. დაბალანსებული მაჩვენებელთა სისტემა წარმოადგენს საქმიანობის შეფასების ზოგად და მოქნილ მიდგომას. ის გვაწვდის სქემას, რომელიც ირჩევს ფინანსურ და არაფინანსურ მაჩვენებლებს კომპანიის სტრატეგიიდან. მაჩვენებლები მოიცავს, მაგრამ არ არის შემოფარგლული მხოლოდ იმით, რომელიც უკავშირდება საქმიანობის, ხარისხისა და პროცესის გაუმჯობესების ანალიზს.

დაბალანსებული მაჩვენებელთა სისტემა შექმნეს დ. ნორტონმა და რ. კაპლანმა. ისინი გვთავაზობენ ეფექტიანობის შეფასების ოთხ მიმართულებას, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანია კომპანიის წარმატებული საქმიანობისათვის.

დაბალანსებული მაჩვენებელთა სისტემა აფასებს ორგანიზაციის საქმიანობას შემდეგი ოთხი განსხვავებული პერსპექტივის მიხედვით: ინანსური პერსპექტივა; მომხმარებელი; პროცესი; სწავლა და ზრდა. ეს პერსპექტივები დაკავშირებულია ერთმანეთთან. ისინი აფასებენ: როგორ ფასდება წარმატება კომპანიის აქციონერების მხრიდან; როგორ ქმნის კომპანია ღირებულებას მომხმარებლისთვის?; რომელი პროცესი უნდა გავაძლიეროს კომპანიამ, რომ დააკმაყოფილოს მომხმარებლისა და აქციონერების მოთხოვნები?; როგორი ინფორმაციული სისტემები, თანამშრომელთა და ორგანიზაციის შესაძლებლობებია საჭირო პროცესებისა და მომხმარებლებთან ურთიერთობების გაუმჯობესებისთვის? პერსპექტივები შედგება ორგანიზაციის ხედვის, სტრატეგიისა და მიზნებისაგან.

ზემოაღნიშნული მიდგომის მიხედვთ დაბალანსებულ მაჩვენებელთა სისტემის შექმნა იწყება სტრატეგიული ამოცანების რუკის შედგენით. ეს გულისხმობს: 1) სტრატეგიული მიზნების დანაწევრებას პერსპექტივების მიხედვით; 2) მიზნებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენას; 3) მათი მიღწევისთვის პასუხისმგებლობის დანიშვნას.

კომპანიები თავიანთი ხანგრძლივადიანი მიზნების განსაზღვრისას აყალიბებენ მთავარ მიზნებს. ამისათვის ისინი იყენებენ კომპანიის როლის განმსაზღვრელ დირექტივებს. ეს დირექტივებია ხედვა, მისია და სტრატეგია.

სტრატეგიული მიზნებისა და მაჩვენებლების შემუშავებისას დაბალანსებული მაჩვენებელთა

სისტემის ოთხი პერსპექტივის მეშვეობით პირველ რიგში უნდა განისაზღვროს გრძელვადიანი ფინანსური მიზნები, პროცესის პერსპექტივაშუ საჭიროა იმ მიზნების არჩევა, რომელიც გააუმჯობესებს პროდუქტიულობას და ეფექტიანობას, ფინანსური მაჩვენებლების ძირითად მატარებლებს. საბოლოოდ, საჭიროა განისაზღვროს თანამშრომელთა გამოცდილება, მისაწოდებელი ინფორმაცია, და კომპანიის კულტურა და მისი რეგულირების საშუალებები, რომელიც უზრუნველყოფს ძირითადი პროცესების გაუმჯბესებას. კომპანიები წარმოადგენენ ამგვარ კავშირს სურათით, რომელსაც სტრატეგიული რუკა ეწოდება, იგი გვიჩვენებს მიზეზობრივ დამოკიდებულებას დაბალანსებული მაჩვენებელთა სისტემის პერსპექტივის ოთხ მიზანს შორის. ნებისმიერი სტრატეგიის ფუნდამენტს წარმოადგენს ფინანსური და სწავლისა და ზრდის პერსპექტივა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბესაძე რ., ეკონომიკური განვითარების თეორია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი, 2016 წ., 202 გვ.

2. აბესაძე რ., ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესი, თბილისი, 2014 წ., 248 გვ.

3. ალადაშვილი ბ., ეკონომიკური უსაფრთხოება. თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა. თბ., 2011.

4. ასათიანი რ., საით მიდის საქართველო? სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი. გამომცემლობა „სიახლე", თბილისი, 2014. 368 გვ.

5. ატკინსონი ა., კაპლანი რ. მათსუმურა ე., იანგი ს. მმართველობითი აღრიცხვა. გამომცემლობა „საქართველოს მაცნე", 2009.

6. ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ., პოსტსოციალური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბ., 2001.

7. მაღლაკელიძე თ., ეკონომიკური უსაფრთხოება, საგამომცემლო ფირმა „სიახლე", თბ., 2002. 304 გვ.

8. ოთინაშვილი რ., საქართველოს ეკონომიკა. სახელმძღვანელო. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი", თბილისი 2012. 556 გვ.

9. პაპავა ვ., პოსტკომუნისტური კაპიალიზმის პოლიტეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბ., 2002.

10. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები. ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი. თბ., ოქტომბერი 2008.

11. სამუელსონი პ.ა., ნორდჰაუსი ვ.დ., ეკონომიკა, ტ. II, თბ., 2000.

12. პიტერ ქოლინი, ინგლისურ-ქართული იურიდიული განმარტებითი ლექსიკონო. მეორე გამოცემა, პროფესორების ლ. ჭანტურიას, მ. კვაჭაძის და ვლ. პაპავას საერთო რედაქციით. რ. ბერულავას გამომცემლობა „იბერთედ-პრესი", თბილისი, 2004.

13. ცაავა გ., სიჭინავა ა., ხანთაძე გ. კორპორაციული ფინანსები (ეკონომიკის მდგრადი განვითარების სტრატეგია.-სასწავლო-პრაქტიკული სახელმძღვანელო.) თბილისი, გამომცემლობა „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი", 2016.-716 გვ.

14. ჭანტურია ლ. კანონი მეწარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში. იხ.: სერგო ჯორბენაძე. 70. საიუბილეო კრებული, თბილისი, 1996.